საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა ნაწყვეტილიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

№ 97

ოთხშაბათი, დეკემბრის 14

1921 წ.

ამ წელს, დეკემბრის 10-ს, დ. ჩოხატაურში (გურია) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, უდროოთ გარდაიცვალა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

გრიშა ნესტორის ძე შაქარიშვილი,

რასაც უსაზღვრო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, მისი გაუბედურებული დედ-მამა ნესტორ და ელენე, დები ლეოლინე და თეო და ძმები: იესე, ალექსი და რომანოზი. დაკრძალვა დანიშნულია დეკემბრის 15. 145

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს, დეკემბრის 15-ს.
გაიმართება

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი
მეოთხე ლიტერატურული

ხუთშაბათი

მოხსენებებს წაიკითხავენ:
აკაკი შანიძე—„კრიპტოგრაფია ძველს ქართულ მწერლობაში“.
ილია ნაკაშიძე—„ეროვნული შემოქმედება“.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

დასწრება შეუძლია ყველას, შესვლა უფასოა. 401

ოთხშაბათს დეკემბრის 14-ს
საღამოს 7 საათზე.

„კიმერიონის“ პატარა დარბაზში
(რუსთაველის პროსპექტი № 24)

გაიმართება

პირველი ესტეტიური საღამო

ტიციან ტაბიძე—„ჩვენი სეზონი“.
გიორგი ლეონიძე—„ყანწელების გერალდიკა“.
შესვლა უფასოა ყველასთვის.

## მზად უნდა ვიყოთ

საქართველოში გაბატონებულ კომუნისტურ პარტიას დაევალა უმაღლესი ორგანოებისაგან, რომ იანვრის ბოლომდი მოეხდინოს საქართველოში საბჭოების შედგენა. ცხადია, მმართველი პარტია დიდი სისწრაფით ჩაატარებს საბჭოთა არჩევნებს ჩვენში, მოულოდნელად გამოაცხადებს მას, რომ მოფიქრებისა და მომზადების დროც არავის ჰქონდეს და ნაკლები წინააღმდეგობა, ნაკლები დაბრკოლება გადაეღობოს გამარჯვების გზაზედ. ასეთი მეთოდით გამოვიდნენ ბოლშევიკები ტფილისის არჩევნებში და უეჭველია ამავე მეთოდით იხელმძღვანელებენ საერთოდ საბჭოთა არჩევნებში. „ხერხი სჯობია ღონესაო“, რომ იტყვიან,—ეს ყველაზედ უფრო არჩევნებშია საჭირო. მართალია მენშევიკები „ღონესაც“ მიმართავდენ ზოგჯერ არჩევნებში და, ალბად, არც ბოლშევიკები მოერიდებიან ამ საშუალებას, მაგრამ მთავარი მაინც არაა ძალდატანება არჩევნებში,

გადლენას, შიშს დიდი ადგილი აქვს დიქტატურის ხანაში, უამისობა არ იქნება, მაგრამ ამას არავინ არ უნდა შეუშინდეს. მოწინააღმდეგის დაფრთხობა, ჩვეულებრივი ხერხია ბრძოლის დროს. დაშფრთხალ კაცს, მოგეხსენებათ, აღარაფრის გაკეთება აღარ შეუძლია, ის გზა-კვალ აბნეულია. ამის მაგალითი მოგვცა ზოგიერთებმა ტფილისის არჩევნებში. მაგ. მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებმა ერთ კრებაზედ საკუთარი სია წამოაყენეს, რომელმაც ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო. როგორ მოხდა ეს? რატომ სიის წარმომდგენმა მაინც არ მისცა ხმა? და რას ჰგავდა მენშევიკებისა და მემარჯვენე ფედერალისტების გამოსვლები, როცა მათი წარმომადგენლების სიტყვით, ისინი ბოიკოტს უცხადებდნენ არჩევნებს და ამავე დროს მათი ამხანაგები კრებაზედ რჩებოდნენ და არჩევნებში მონაწილეობას დებულობდნენ თავის შეკავებით?

აი რა შეუძლია შიშსა და გზა-აბნეულობას!.. მენშევიკებისაგან გვიკვირს ეს, თორემ მემარჯვენე ფედერალისტები ხომ ვიცით, რაც ვაჟკაცებიც არიან?..

ყოველივე ეს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამ დიდი საარჩევნო კამპანიის დაწყების წინ. სულ მალე მთელ საქართველოში დაიწყება არჩევნები და ვინაიდან ჯერ არ ვიცით,—როდის მოხდება ეს და, როცა გავიგებთ მაშინ კი გვიან იქნება, ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენ ამხანაგებს ეხლავე, ერთი წუთის დაუყონებლივ შეუდგენ სამზადისს და ყოველ წუთს მზად იყვნენ არჩევნებისათვის. ადგილობრივი პარტიულ ორგანოებმა ეხლავე უნდა შექმნან პარტიული საარჩევნო აპარატი და მონაწილეობა მიიღონ მთავრობის საარჩევნო კომისიებშიაც, როცა ისინი შესდგებიან ოფიციალურად. მზად იყავით ამხანაგებო,

## საქართველოს ყალბი მანდატით.

საქართველოში თებერვალში მომხდარმა ამბებმა, მენშევიკებს ხელიდან გამოაცალა მათი პოლიტიკური ბატონობის, პარტიული სიძლიერის ნავთსაყუდელი, მენშევიკებს ვერ წარმოუდგენიათ საქართველო მათი ბატონობისაგან თავისუფალი. მენშევიზმი და საქართველო მათთვის სინონიმები შეიქმნა. გარეშე მენშევიკებისა საქართველოს თავისუფლება შეუძლებელია, აი მათი პოლიტიკური კრედო. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს თავისუფლების იდეა მენშევიზმთან ერთად არ დაბადებულა საქართველოში; ეს იდეა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ამოძრავებდა საქართველოს მამულიშვილებს და უკუაგდებდა მათ მოქმედების გეგმებს. შეუძლებელია მენშევიზმის პოლიტიკური სიკვდილით დასასრული დაუდგეს საქართველოს თავისუფლების იდეას. ეს იდეა მრავალს, მენშევიკების მსგავს პარტიას გამოიცვლის და მარად უკვდავი დარჩება.

ქართველი ხალხის ტრაგედია სწორედ ის არის, რომ მის მხსნელად და მოსარჩლედ სწორედ ისეთი პარტია გამოდის, რომლის გეგმები სრულებით არ ეგუება საქართველოს გზებს. მენშევიზმით საქართველოს დახსნა, მისი აყვავება და გაძლიერება შეუძლებელია, ქართველმა ხალხმა უნდა სძლიოს მენშევიკური ავადმყოფობა და ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა განიკურნოს მავნე ბაცილებისაგან. ეს პროცესი ქართველი ხალხის მენშევიკური ავადმყოფობისგან განკურნებისა, არც ისე ადვილი საქმეა. მენშევიზმი ღრმად არის შეჭრილი ჩვენი ეროვნული ორგანიზმში და მის საწინააღმდეგოთ წარმოებული ქირურგიული ოპერაციები დიდის დაკვირვებით უნდა იქმნეს წარმოებული, რომ ერის სხეული არ დაზიანდეს. აქ ძალდატანებამ და ტლანქმა ფაქტორებმა ადგილი უნდა დაუთმოს კულტურულს ფაქტორებს, დამზრდელობითი მომენტებს. ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული წარმატების პირობები, რომელნიც სავსებით დაანახვებს საქართველოს მშრომელთა კლასს ახალი სოციალისტური კმშენებლობის უპირატესობას და ნათელს ჰყოფს მენშევიზმის რეაქციონურს ბუნებას. ეს ოპერაცია ხანგრძლივ პროცესსა და დიდს დაკვირვებას მოითხოვს, მაგრამ ის აუცილებელია და სწორედ ამ საშუალებით უნდა ვებრძოლოთ მენშევიკურს ავადმყოფობას ჩვენში.

როგორც აღვნიშნეთ მენშევიზმი დამარცხდა თავის უკანასკნელს სიმაგრეშიც და მან პარტიული ბატონობის სარბიელი დაჰკარგა.

დღეს სხვა კონიუნქტურა და სხვა პირობები შეიქმნა საქართველოში; ქართველი ხალხი იმპერიალისტურს გავლენიდან საბჭოთა რესპუბლიკების ორბიტრობი მოექცა.

რას ფიქრობს ასეთს პირობებში მენშევიკური პარტია, როგორია მისი სამოქმედო გეგმები? სურს მას ქედი მოხაროს ახალი ძალების წინაშე, თუ კვლავ განაგრძობს შეტევისათვის მზადებას, დაკარგულ ტახტისათვის ბრძოლას?

როგორც ვიცით, ქართველი მენშევიკები ვერასოდეს ვერ მოინელებენ საქართველოს მათი ბატონობის ხელიდან დაკარგვას; ცხადია, მათი პოლიტიკა არ არის პასიური შერიგების პოლიტიკა, უმოქმედოთ ქედის მოხრა. ისინი—დღესაც განაგრძობენ ბრძოლას პარტიული ბატონობის აღსადგენად, დაკარგულ პოზიციების დასაბრუნებლად. მაგრამ ამ ბრძოლას ახალი, კეთილშობილი ლოზუნგით ამშვენებენ; მათ ყოველს გამოსვლას საქართველოს უცხო ძალებისაგან განთავისუფლების შინაარსი აქვს მიღებული. საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა და მენშევიზმი თითქოს ერთი და იგივე იყოს. მენშევიკებმა დღევანდელი მდგომარეობაც ისარგებლეს, მათი ბატონობის დროს ხალხში გატეხილი სახელი თითქოს აღადგინეს და დღეს ერის განმანთავისუფლებელ გმირებათ გვევლინებიან.

საქართველოსათვის წამებული მენშევიკები! რამდენი ბედისაგან დამცინავი შხამი და ნაღველია ამ სიტყვებში? ეროვნული პოლიტიკის წარმომყოფელნი დღეს ერისათვის წამებულთა სამოსელში არიან გამოხვეულნი და ასე დასეირნობენ ევროპის იმპერიალისტების სასახლეებში.

მენშევიზმი დღეს ქედს არ ხრის და იგი იბრძვის საქართველოს განთავისუფლების სახელით თავისი პარტიული ბატონობის აღსადგენად.

მენშევიკებმა თავიანთი მოქმედების ერთი მთავარი ცენტრი ევროპაში გადიტანეს; მენშევიკების ყოფილი მთავრობა დღეს ევროპაში მოღვაწეობს და ამ გვარად, საბჭოთა რესპუბლიკები აგან განდევნილს მთავრობებს მენშევიკების მთავრობაც ამშვენებს. როგორია მათი პრაქტიკული მოქმედების გეგმები? რა სურს ევროპისაგან ჩვენს ყოფილ მთავრობას?

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რომ მენშევიკები არ იხსნიან საქართველოს მთავრობის სახელს; მართალია ბედმა და გარემოებამ მათ აზდა ეს უფლებები, მაგრამ თვითონ ამას არ სცნობენ და დღეს, საქართველოს, ორი მთავრობა ჰყავს: ერთი საქართველოში—კომუნისტური, და მეორე ევროპაში—მენშევიკური.

მენშევიკების ლიდერები ევროპაში მოქმედებენ, როგორც საქართველოს, კანონიერი მთავრობა და წარმომადგენელნი. იქნებ არ გჯერათ ეს კურიოზული ამბავი? აი ფაქტებიც. საქართველოში გამოქვეყნდა ნ. ჟორდანიას, პარიზიდან 22 ივლისის თარიღით გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც შემდეგს ვკითხულობთ: ევროპაში „საქართველოს ერთად-ერთ მთავრობად გვცნობენ ჩვენ და ჩვენ მისიებს.

საქართველოს ქვეშევრდომთ ევროპაში არ უშვებენ ჩვენ ნებადაურთველად“.

„... ჩვენ აქ შესაფერისი ნოტით მივმართეთ ყველა მთავრობას, განვუცხადეთ, რომ სანამ საქართველოში არ აღსდგება ხალხის სუვერენობა და კანონიერი მთავრობა, მანამდის არავითარ კონცესიას და სავაჭრო ხელშეკრულებას ბოლშევიკებთან დადებულს, არ ვცნობთ და საქართველო მას არ დაემორჩილებაო“. ჩვენ გვახსოვს აგრეთვე ამ „მთავრობის“ გადადგმული ნაბიჯი ბრიანის კარნახით ამიერ-კავკასიიდან განდევნილ მთავრობების მიერ დადებულ ხელშეკრულებისა ამიერ-კავკასიის სამხედრო და სხვა კავშირების შესახებ.

კითხვა იბადება: ვინ მისცა ყოფილ მენშევიკურს მთავრობას ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯების გადადგმის უფლება, ან რათ ატარებს იგი საქართველოს სუვერენულ მთავრობის სახელს? ვინ არის ის უმაღლესი ორგანო, რომელმაც მიანდო ეს პირები ასეთი დიდი თანამდებობით?

საქართველოში მენშევიკების დროს ასეთ დიდ ორგანოდ ითვლებოდა დამფუძნებელი კრება, რომელიც დღეს გაუქმებულია.

რასაკვირველია, მოწინააღმდეგე მხარე ამ აქტს არ მიიღებს და თავისთვის დამფუძნებელ კრებას არ ჩასთვლის გაუქმებულად. აქ ნუ შევალთ ამ საკითხის განხილვაში. საკითხს სხვა მხრით მოუაროთ. მიიღო კი ყოფილმა მთავრობამ ამ ორგანოსაგან ევროპაში ასეთი მოღვაწეობის სანქცია? დაეკითხნენ მენშევიკები დამფ. კრებას ასეთი ნაბიჯების გადასადგმელად.

როგორც ვიცით, ყოფილი მთავრობა ბათომში დამფუძნებელ კრებას სოპოზიციო ფრაქციებმა წყევლა-კრულვით გაისტუმრეს და ამას მხარი დაუჭირეს გაბატონებული ფრაქციის ზოგიერთმა წევრმაც. არსებითად დამფუძნებელ კრებისაგან არავითარი დასტური არ მიუღია ყოფილ მთავრობას და არც არავინ დაჰკითხებია ამის შესახებ. მაშ ვინ გაგზავნა ეს ხალხი ევროპაში, მისი სანქციით არის, რომ ასეთს დიდს საქმეებს აკეთებს იქ და ატარებს საქართველოს მთავრობის სახელს? ამ კითხვის პასუხისათვის უფრო ავტორიტეტულს ორგანოს მივმართავთ და ისეთს პირებს დავიმოწმებთ, რომელნიც უფრო ახლოს იდგნენ მთავრობასთან. ამ დღეებში „შრომაში“ გამოქვეყნდა საქ. დამოუკიდებელი სოც.-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ:

„... მენშევიკურმა პარტიამ—ცენტრალური კომიტეტის გადლენიანი პირები და მთავრობა საზღვარ-გარედ გაგზავნა ქვეყნის ოფიციალური და კანონიერი წარმომადგენლის—დამფუძნებელი კრების დაუკითხავად“ (იხ. „შრომა“ № 10 წერილი: „ცილის მწამებელთ“. ხაზი ჩვენია. ს. ხ.).

ამ გვარად ს. დ. პარტიამ და მისმა მთავრობამ, უპასუხისმგებლო ნაბიჯი გადასდგეს და ხალხის დაუკითხავად აწყობენ ქვეყნის დამღუპველ საქმეებს. ვინ მისცა ნება ჩვენს ყოფილ მთავრობას?—მენშევიკების ცეკამ. რა საჭიროა სხვა ორგანო, ცეკას სურს და ისე იმოქმედებს, როგორც მისი ინტერესები მოითხოვს. მაგრამ მენშევიკების ცეკა არ არის საქართველო და ის ვერც მის ინტერესებსა და სურვილებს გამოხატავს, და არც მისი სახელით შეუძლია ილაპარაკოს და ნებართვები მისცეს. ყოფილი მენშევიკური მთავრობა ყალბი მანდატით დაეხეტება ევროპაში და დრო არის ამ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს. მას არა აქვს უფლება საქართველოს სახელით ილაპარაკოს და ევროპის იმპერიალისტებთან აწყოს საქმეები.

ხიმ. ხუნდაძე.

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბები

„ზაგსი“. თბილისის ქალაქის რევკომთან არსებულ „ზაგსი“-ს მიერ აღნუსხულია 63 დაბადება, 172 სიკვდილი, 287 ქორწინება, 64 განქორწინება და 8 გვარის გამოცვლა. („კომ.“)

— განტვირთვა და გადასახლება. 6 დეკემბერს შულავერის სადგურიდან გაგზავნილია ერევანში და სხვაგან 20 ვაგონი შულავრის მიდამოში დროებით მცხოვრებლებით. 7 დეკემბერს ნავთლუღის სადგურიდან გაგზავნილია განჯაში და ბაქოში 10 ვაგონი თბილისში დროებით მცხოვრებლებით, რომლებიც ექვემდებარებიან გადასახლებას. („კომ.“).

— მცხოვრებლების მომარაგება ხახოვლო სამეურნეო სამკურნალო მასალით. მიწად-მოქმედების კომისარიატის მიერ შექმნილია კომისია—მცხოვრებლების მოსამარაგებლად სასოფლო-სამეურნეო სამკურნალო მასალით: გოგირდით, შაბიამნით და სხვა, რომელიც განზრახულია გამოიწერონ საზღვარ-გარეთიდან. განზრახულია ამ საქმეში მონაწილეობა მიაღებინონ კოოპერატივთა ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა მოაწყონ ამ მასალის შეძენის მსურველთა ჩაწერა, მათგან ბეს ჩამორთმევით. („კომ.“).

— ხუთშაბათს 15 დეკ. ხელოვნების სასახლეში სერგიევის ქუჩა № 13. გაიმართება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი მეოთხე ლიტერატურული ხუთშაბათი, მოხსენებები: აკაკი შანიძე—„კრიპტოგრაფია ძველს ქართულს მწერლობაში.

ილია ნაკაშიძე „ეროვნული შემოქმედება“. დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— ოთხშაბათს 14 დეკემბერს საღამოს 7 საათზე „კიმერიონი“-ს პატარა დარბაზში (რუსთაველის პრ. № 24) გაიმართება პირველი ესტეტიური საღამო. მოხსენებებს წაიკითხავენ: ტიციან ტაბიძე—„ჩვენი სეზონი“ გიორგი ლეონიძე—„ყანწელების გერალდიკა“: შესვლა უფასოა ყველასთვის.

## რუსეთი

მოსკოვი 12 დეკ. „პრავდა“ ეხება რა საკითხს ჩვენი აპარატების დატვირთვისას აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დრომდე ჩვენ ვამჩნევთ ფაცაფუცს ჩვენს ორგანიზაციებში: ყველგან გამოტანილია მრავალი გადაწყვეტილობა, მაგრამ მათი აღსრულება კი არსად არ ტარდება.

მოსკოვი 12 დეკ. 5 დეკემბერს ბერლინში რუსეთის წარმომადგენელმა ამხ. კრესტინსკიმ გახსნა საერთაშორისო კონფერენცია, მოწვეული მუშათა კომიტეტის მიერ რუსეთის დასახმარებლად. კონფერენციას დაესწრო, როგორც წარმომადგენელი ამსტერდამის გაერთიანებული პროფ. კავშირებისა გროსმანი აგრეთვე ორ-ნახევარ ინტერნაციონალიდან ფრიდრიხ ადლერი. პარიზის კომიტეტისაგან კლარ მადლენ მარკო, ინგლისის კომიტეტიდან ეგრეთ წოდებულ „შორს ხელი რუსეთიდან“ კეტსი. მთელი წყება პრეზიდიუმში შეტანილი რეზოლიუციები ეხება რუსეთისათვის

სესხის მიცემა", რომელსაც სოლიდარულად მხარს უჭერენ.

კონფერენციამ თავის მიზნად დაისახა მოახდინოს ტეხნიკური კოორდინაცია დამხმარე კომიტეტის ყველა მუშაობისა.

ერევანი. მთავარ პოლიტიკურ განყოფილებამ 11 დეკემბერს იდღესასწაულა პოეტ ნეკრასოვის დაბადების ასი წლის თავი.

მოსკოვი 12 დეკ. ციმბირი ღებულობს ზღვაზე გასავალს. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა რადიო ტელეგრაფმა. მან საშუალება მისცა მეზღვაურთ გზის არჩევისა, რომ ასცილდენ ყინულს ზღვაზე. გეგმით ზღვის ჩრდილოეთის გზაზე უნდა მოეწყოს 12 რადიო სადგური. ამ ჟამათ 9 უკვე მზათ არის.

მოსკოვი 10 დეკ. საბჭოთა მთავრობამ მიმართა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებს, შეერთებულს შტატებს, იაპონიას და ჩინეთს შემდეგი ნოტით: იმ პროტესტის შემდეგ, რომელიც იყო გამოთქმული 19 ივლისის ცირკულიარულს ნოტაში და აგრეთვე 2 ნოემბერს, რათა არ მოწვეულიყო რუსეთის მონაწილეობის მიუღებლად კონფერენცია, რომელიც შეეხებოდა რუსეთის ხალხისათვის საინტერესო საკითხებს, რუსეთის მთავრობა იძულებულია მიმართოს სპეციალური პროტესტით ვაშინგტონის კონფერენციას იმის გამო, რომ იგი იხილავს საკითხს რუსეთ-ჩინეთის აღმოსავლეთის რკინის გზისას, რადგან ეს საკითხი შეეხება მხოლოდ რუსეთსა და ჩინეთს. რუსეთის მთავრობა მზად არის გადასცეს აღნიშნული რკინის გზა ჩინეთის ძალა-უფლების განკარგულებაში იმ პირობით, თუ ჩინეთი მოგვცემს ზოგიერთს გარანტიებს, რომელიც საჭიროა ამ გადაცემისათვის. ჯერ კიდევ ეს გადაცემა არ მომხდარა და რუსეთი იტოვებს შეუხებელს უფლებას ამ გზაზე. იმ მომენტში, როცა რუსეთის დელეგაციას, რომელსაც წინდაწინვე აქვს ეს ამოცანა, და ჩინეთის მთავრობის შორის მოხდება ამ საკითხში შეთანხმება, რუსეთისაგან დათმობა თავის თავის უფლებებისა, რომელიც გათვალისწინებულია ამ შეთანხმებით, შევა ძალაში, მაგრამ ამ დრომდის რუსეთი იქ ივებს ყოველივე თავის უფლებებს. რუსეთის მთავრობა იძულებულია პროტესტი განაცხადოს ყოველივე გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც მიიღებს ვაშინგტონის კონფერენცია რუსეთის უფლებების საზიანოდ და აცხადებს, რომ არ სცნობს არც ერთს შელახვასა და დარღვევას რუსის ხალხის უფლებებისას რომელიც იწონებს გადაწყვეტილებებს თავის მთავრობისას, რომელიც გამოხატავს მის ნებას და იტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას, რომელიც არის სრული და განუყოფელი იმისათვის, რომ ვაიძულოთ თავის უფლებების დაცვა ისეთი საშუალებებით, რომელსაც იგი სცნობს დროულად და მიზანშეწონილად.

# უცხოეთი

ტრაპეზუნდი. 10 დეკემბერი. ოსმალეთის უმაღლესი ეროვნული საბჭოს დადგენილებით გამოტანილია კანონ-პროექტი, რომლის ძალით ყველა უფლება და პრივილეგია, რომელიც აქამდე ქონდათ ეროვნულ უმცირესობას სულთანის ფირმანით უარყოფილია.

კონსტანტინეპოლი. კონსტანტინეპოლსა და ბაღდადის შორის დაწყებულია საჰაერო ფოსტის მიმოსვლა, წერილები ბაღდადიდან კონსტანტინეპოლში მე-7 დღეს ჩამოდის.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. ჩრდილოაღმოსავლეთის ნაწილში ბერლინში ძალადაზიების დამსხვრევა გრძელდება. უმთავრესად უმუშევარ ბრბოსაგან პოლიციამ 110 კაცი დაატუსაღა.

მოსკოვი. 11 დეკემბერი. ბუდაპეშტში ამ ჟამად ირჩევა საქმე ჰუნგრეთის რესპუბლიკანური პარტიის ლიდერებისა, საშეფოსა და მონარქისტების წინააღმდეგ სიტყვის წარმოთქმისათვის.

კონსტანტინეპოლი, გაზეთ „საკიმიეტ მილიე" თავის მოწინავეში სწერს: აზერბეიჯანის მისიის ანგორაში ჩამოსვლით პირველად იცყება ოსმალეთ აზერბეიჯანის პოლიტიკური დამოკიდებულება, თუმცა ორი წლის წინათ ჩვენ ვხედავდით აზერბეიჯანის ელჩს კონსტანტინეპოლში, მაგრამ ის თავისი პირადი თვ სეით აჯობინებდა დამოკიდებულების დაჭერას ინგლისის წვრილ მასკეთან ვიდრე ოტომანიის ოსმალოსთან რომელიც სისხლს აქცევდა აზერბეიჯანის მასსისათვის. ამ ჟამად აზერბეიჯანის ელჩათ იმყოფება იბრაგიმ ბეგი აბილოვი, ცნობილი როგორც აზერბეიჯანში ისე ოსმალეთში. ჩვენ ვესალმებით იბრაგიმ ბეგს. მან როგორც აზერბეიჯანის „მასწავლებელმა" გადგვიხსნა თავისი ხალხის მთელი თავისი კეთილშობილი და სწორი განცხადებით და სთქვა: „აზერბეიჯანის თათრები შედუღებულია ოსმალეთის ხალხთან ერთად და მის სიხარულს თავს სიხარულად სთვლიან და მათ გაჭირვებას თავის გაჭირვებათ არაფერი არ შეაჩერებს მათ იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდი, როგორც ოსმალეთის განთავისუფლებლად, ისე ყველა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხისათ".

პარიზი. 10 დეკემბერი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასცა 6 დეკემბერს ინგლისის მთავრობას პასუხი ბრიტანეთის ნოტაზე საფრანგეთ-ანგორის შეთანხმების შესახებ. პასუხი შედგენილია ძლიერ მეგობრული კილოთი და ძლიერ დაწვრილებით. საფრანგეთი აღნიშნავს, რომ მისი მიზანია აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება მშვიდობიანობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთის მთავრობა გადაჭრით აცხადებს, რომ ინგლისის ყოველივე წინადადება, მიმართული ამ მიზნის განხორციელებისაკენ, იქნება მიღებული საფრანგეთისაგან დიდი სიამოვნებით.

ანგორა. 1 დეკემბერი. კონსტანტინეპოლის გაზეთ „მიერა"-ს კონფისკაცია უყვეს ინგლისის ძალაუფლების განკარგულებით სტატიისათვის სახელწოდებით —„ანგორა—ეს მშვიდობაა". ეს სტატია იყო პასუხი წერილზე, რომელიც იყო მოთავსებული გაზ. „პეიამ საბახ"-ში სახელწოდებით „ანგორა—ეს ომია".

ნაუენი. 10 დეკემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრები საფრანგეთისა, ინგლისის და იტალიისა შეუდგენ განხილვას იმ ზომებისა, რომლითაც შეიძლება შუამავლობა საბერძნეთისა და ოსმალეთს შორის, რათა აღდგენილ იქმნას მშვიდობიანობა მცირე აზიაში.

მოსკოვი. 10 დეკემბერი. გამოაცხადეს გაფიცვა ბერლინის მიწის ქვეშა რკინის გზების 24 000 მუშა მოსამსახურეებმა. მიზეზი გაფიცვისა არის მოთხოვნილება სამუშაო ქირის მომატებისა.

ბორდო. 10 დეკ. მეოთხე სხდომა ვაშინგტონის კონფერენციისა, გადადებულია რამოდენიმე დღით იაპონიის დელეგაციის თხოვნით, რომელსაც არ მიუღია ტოკიოდან საჭირო ინსტრუქციები. იაპონო-ჩინეთის კომისიამ გაათავა განხილვა იაპონიის უფლებისა პორტ-არტურსა და კიაო-ჩაოზე. იაპონიის დელეგაციამ კატეგორიულად განაცხადა, რომ პორტ-არტურის მფლობელობის უფლება იაპონიას ძლიერ „ძვირად დაუჯდა", რომ ახლა დათანხმდეს მისი ჩინეთისადმი დაბრუნებაზე. რაც შეეხება კიაო ჩაოს, კონცესია ამ პორტზე იაპონიამ მიიღო გერმანიისაგან და ეს კონცესია შემდეგ იქმნა დადასტურებული ვერსალის ხელშეკრულებით.

ბორდო. 10 დეკ. საფრანგეთის წარმომადგენელი ვივიანი მოწვეული იყო გარეშე საქმეთა დეპარტამენტში, სადაც შესდგა ხანგრძლივი თათბირი ხიუზის დასწრებით წყნარ-ოკეანეს საკითხებზე. შედეგები თათბირისა ინახება ძლიერ საიდუმლოთ. კერძო, მაგრამ ძლიერ ავტორიტეტული ცნობების მიხედვით, ამერიკის წარმომადგენელმა დაუსვა პირდაპირი საკითხი საფრანგეთის წარმომადგენელს: რა პირობებში დათანხმდებოდა საფრანგეთი მიეღო მონაწილეობა შეთანხმებაში, რომლის მიზანი იქნებოდა მშვიდობიანობის უზრუნველყოფა წყნარ-ოკეანეზე. ლაპარაკობენ წყნარ-ოკეანეს შესახებ საერთაშორისო შეთანხმების ახალს პროექტზე. დაინტერესებულ სახელმწიფოების წარმომადგენლები პრინციპიალურად დაეთანხმენ ახალს პროექტს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

უმუშევართა რიცხვი ლონდონში უკანასკნელს კვირაში გადიდდა 110.000 კაცზე მეტად.

პეტროგრადში მოვიდა პირველი ტრანსპორტი, გამოგზავნილი რუსეთში დამშეულთა დამხმარე მუშათა ინტერნაციონალური კომიტეტისაგან. ტრანსპორტი შესდგებოდა 360 ტონი სურსათისაგან და 100 ტონი სალაშქრო

# № 2

I

გამოდიხარ ნაძვნარში და აქა იქ ჩერდები,
მობრუნდები მდუმარედ და შემომაშტერდები.
ლაპარაკობ თვალებით, ამოუცნობ რაღაცას...
ვეკითხები ყვავილებს, ვეკითხები მაღლა ცას:
რად არიან ისინი აგრე ბნელი, ნაზები;
ხან ნაღველი მდუმარე, ხან კი ცოცხლის ხაზები?
რად არხევენ მის სიღრმეს აგრე მომხიბლავადა?
ან ვინ არის ჩვენ ორში, მე თუ იგი, ავადა?

II

შენ სთქვი: „ეგ მდუმარება სასიკვდილო დანაა,"
არა აზრი იქ არის, სადაც ამოცანაა.
ჩვენ ხომ გამოცნობილი აღარ გვალხენს, გვწყინდება;
ამოუცნობ რამეზე სული შეგვიფრინდება,
და არ ვიცით, რა გვინდა, ან რისი ვართ არსია?..
მიტომ მდუმარებაშიც მეტი შინაარსია.
და ოცნებას სიცხადე აბა ვინ შეადაროს?
დაე, სევდა ლამაზი, ლამაზ სულმა ატაროს.

III

მაგრამ ტრფობის სახმილი თუ არას დროს დაივსოს,
გულს ალმურად მოედვას, სული აამაისოს,
აზვირთებულ გრძნობიდან, თუ ვერ შევსძლებთ თავდაცვას
და ოცნების ყვავილებს ვნების ცეცხლი გადასწვავს,—
მაშინ მოვალ, მოვალ და... შენ ერთს შეგიერთდები,
და ვიცხოვრებთ ჩვენც ისე, როგორც ძველი ღმერთები.
როგორც ძველი ღმერთები ყოვლად სრული გავხთებით
და პარნასის მთისაკენ ერთად გავემართებით.

საფო მგელაძე.

სამზარეულოს მოწყობილობებისაგან. („ეკონომიჩესკაია ჟიზნ").

გაზ. „პრავდაში" მოყვანილია ცნობები სახელმწიფო ფაბრიკა-ქარხნების წარმოების ნაყოფიერებისა ოქროს მანეთებით: სულ 1920 წელში შექმნილია საზოგადოთ 584 მილ. მანეთის ოქროით, ან საშუალოდ 292 მილ. მანეთის ნახევარ წელში (პირველ ნახევარ წელში ნაკლებია, მეორეში—მეტი).

პირველ ნახევარში 1921 წლისა შექმნილია 368 მილ. მანეთის, ე. ი. 25 პროც. მეტი, წინაამდეგ 1920 წლის საშუალო ნახევარ წლის წარმოებისა. მეორე ნახევარში 1921 წლისა, წარმოება შეადგენს 420 მილ. მანეთს ან 15 პროც. მეტს წარსული ნახევარ-წლისა (თუ ვივარაუდებთ, რომ ნოემბერში და დეკემბერში საქმე არ გაუარესდება—არ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ მდგომარეობის გაუარესებაზე ამ ორ თვეში) მოლის პირველს სამ-მეოთხედში 1922 წ. მოსალოდნელია 78 მილ. მანეთი. აქათში პირველს ნახევარ-წელში 500 მილ., ე. ი. 20 პროც. მეტი წარსული ნახევარ-წლისა.

უ. ს. მ. საბჭოს ჩვეულებრივ გადაჭარბებული მოლოდინისა,—ამ შემთხვევაში შესაძლებლობები შედგენილია საკმაოდ სიმართლესთან ახლოდ: უკვე ოქტომბრის 1921 წელში შეიძლებოდა შემჩნევა, როგორც კი კოლექტიური სასყიდელი იქმნა შემოღებული, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების ზრდა 50 პროც., „როგორც მეტალურგიულ მრეწველობაში გამოანგარიშებულია ამხ. ხალატოვის მიერ რამოდენიმე ათეული მსხვილი ქარხნები), აგრეთვე დონის ნახშირის რაიონში.

გაუმჯობესდა მდგომარეობა სართავ-საქსოვ მრეწველობაშიაც. განვითარების ამგვარი მიმართულება ძირითადს დარგებში, მოლოდინია საშუალო 20 პროც. გაუმჯობესობისა, არის შედარებით მართალი და უდრის 20 პროც. საშუალო გაუმჯობესობის მოლოდინს. ეს ციფრები ერთხელ კიდევ გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა მსხვილი წარმოება თანდათანობით იწევდა და ადიდებდა წარმოების რაოდენობას თითქმის იმ მძიმე პირობებშიაც, რომელშიაც ჩვენ აქამდის ვცხოვრობდით. მით უფრო შეიძლება იმედი ვიქონიოთ გაუმჯობესობისა მომავალს წელში, როცა ჯარის დემობილიზაციის გათავება და ჩინოვნიკობის შემცირება მოგვცემს შესაძლებლობას გაძლიერებით მუშების მიწოდება. თუ კი ახლანდელი წელი გაუმჯობესობის ტემპი შეურყეველი იქნება, მაშინ ომის წინა დონეს რუსეთის მრეწველობა მიაღწევს მხოლოდ 1921 წელში, რადგან მშვიდობიანობის დროის წარმოების ჯამი ფაბრიკა-ქარხნებისა და სამთო წარმოებაში, შეადგენდა ახლანდელს რუსეთის ტერიტორიაზე 4.200 მილ. მანეთამდის.

# ბრძანება № 94.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა

1. მოწყობილ იქნეს ცენტრალური კომისია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ს. ეპოქების მოსაწყვეტად. კომისიაში შედიან: თავმჯდომარედ ამხ. ორახელაშვილი, თავმჯდომარის მოადგილედ—ამხ. ელიავაშვილი, და წევრებად: ამხ. ამხ. წოწკოლაური, ლადაძე, ნ. ოკუჯავა, გოგებერიძე, ყურულაშვილი, დლონტი თევდორე და ერთი წარმომადგენელი კომუნისტური ახალგაზრდობის „კავშირის" ცენტრალური კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ხ. ქავთარაძე

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხაჭარიძე.

1921 წ. დეკემბრის 13.

ტფილისი—სასახლე.

# დადგენილება № 111

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა—საგანგებო საფილტრაციო სამეულის დაარსების შესახებ.

ქ. ტფილისის მცხოვრებთა რიცხვის ზრდამაც, რომელმაც მწვავედ და მკაცრად წარმო შვა ბინები საკითხის და სურსათის კრიზისისა და ხელი შეუწყო ყოველგვარი ეპიდემიის გავრცელებას, გამოიწვია უკვე მიღებული მთელი რიგი იმ ღონისძიებისა, რომელიც მიმართულია ამ კრიზისის შესამსუბუქებლად და საერთოდ ქ. ტფილისის განსატვირთავად. რათა მიღებულმა ღონისძიებამ მიზანს მიაღწიოს და თავიდან აცილებულ იქნეს ამ ბოლო ხნის უშველებელი ზრდა მცხოვრებთა რაოდენობისა ქ. ტფილისში შემთხვევითი ელემენტების გამო, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან დაარსდეს საგანგებო საფილტრაციო სამეული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლისა, ან ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის შინაგანი მმართველობის განყოფილების გამგისა ან მისი თანაშემწის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლისაგან. სამეულს დაევალება რეგისტრაცია იმ პირთა, ვინც მოისურვებს ტფილისში ცხოვრებას და მინიჭება ტფილისში ცხოვრების უფლებისა მსურველთათვის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ამას აუცილებელი საჭიროება მოითხოვს. სამეულის უდასტუროდ საბჭოთა ხელისუფლების არც ერთ ორგანოს ნება არა აქვს ქალაქში შემოხიზნულთა დაკმაყოფილებისა ბინით, სურსათით და სხვ.

შენიშვნა: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი შედის საგანგებო საფილტრაციო სამეულში თავმჯდომარის უფლებით;

2. ქალაქის რევოლიუციონური კომიტეტის საბინაო ქვე-განყოფილებას და ყოველგვარ საბინაო სხვა ორგანოს სასტიკად ეკრძალება, უფროსის პირადი პასუხისმგებლობით მთხოვნელთათვის ბინების მიცემა, თვინიერ საგანგებო საფილტრაციო სამეულის წინასწარი ნებართვის და განხილვისა.

3. საბჭოთა სასურსათო ორგანოებს ქ. ტფილისში ახლად ჩამოსულ პირთა სურსათით დაკმაყოფილება შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ ექნებათ სათანადო დასტური საგანგებო საფილტრაციო სამეულისა.

4. მუშათა და გლეხთა მილიციის სარაიონო კომისარიატებს დაევალებათ ტფილისში ჩამოსულ პირთა სახლის დავთრებში ჩაწერის დროს, მოითხოვონ მათგან ნებართვა საგანგებო სამეულისა ტფილისში საცხოვრებლად და უკეთუ ასეთი ნებართვა არ აღმოაჩნდებათ,—გაგზავნონ საგანგებო სამეულში მათი პირადი სარეგისტრაციო ბარათები.

5. ის პირნი, რომელნიც წარმოვლენილნი არიან ქალაქ ტფილისის პარტიულ ორგანოებისაგან და მანდატებზე ვიზა აქვთ საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოებისა, აგრეთვე ექვემდებარებიან საფილტრაციო სამეულს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ პირთა მანდატები გატარებულ უნდა იქნეს საფილტრაციო სამეულში მექანიკურად, დაუყოვნებლივ.

6. საგანგებო საფილტრაციო სამეული უნდა შესდგეს არა უგვიანეს ერთი კვირისა დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა და დაევალოს მას იმავ ხანში შეიმუშაოს დაწვრილებითი ინსტრუქცია და გეგმა თავისი მუშაობისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისათვის დასამტკიცებლად წარსადგენად.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი. ალ. ხაჭარიძე.

1921 წ. დეკემბრის 28.
ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2123 და მატრიკული № 3927, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან. ვაცხადებ ორივეს გაუქმებულად. აბესალომი ლავრენტის ძე ნიჟარაძე.

146

კბილის ექიმი

ი. გ. ხარებავა გაჯრაძე

იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობს, ჰლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის ქუჩ. № 4.

109